

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ურობები

Т Р У Д Ы

ТБИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА
ИМЕНИ СТАЛИНА

TRAVAUX

DE L'UNIVERSITÉ
STALINE
à TBILISSI (Tiflis)

სტალინის სახელობის თბილისის სახელმ. უნივერსიტეტის გამომცემლობა
Издательство Тбилисского Государственного Университета им. Сталина

თ ბ ი ს ს ი

1941



2. ახვალეიანი

ოსური ენის ისტორიისათვის

III. ხშულთა დისიმილაციური გამჟღერება ოსურ ენაში

1. ოსურმა, წარმოშობით ირანულმა ენამ, საერთოდ შეითვისა კავკასიურ ენათა ბგერითი სისტემა და, ასე ვთქვათ, ფონეტიკურად „ვაკავკასიურდა“; ეს წარმოშობს ოსური ენის შეგუების ხანგრძლივ პროცესს კავკასიურ ენობრივ სინამდვილესთან; კერძოდ, ოსურმა დიდი რაოდენობით შეითვისა ლექსიკური მასალა მასთან ხანგრძლივ მებობლობაში მყოფ სხვადასხვა კავკასიურ ენათაგან. ოსურ ენაში შესულ უცხოურ სიტყვათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი რაოდენობრივ უქირავს კავკასიურ ენათაგან შესულთ—საკუთრივ კავკასიური ენებისას ან მათი შუალობით. „ 65% (слов в осетинском языке) неизвестного происхождения, т. е. того, что напрашивается в своем массовом составе на происхождение из яфетических языков“ (ოსური ენის სიტყვათა 65% უცნობი წარმოშობისა; ე. ი. ისეთისა, რომ ძალაუნებურად აფიქრებიანებს კაცს საერთოდ მათს წარმოშობილობას ძაფეტურ (იგულისხმე—კავკასიურ, გ. ა.) ენათაგან¹).

აქ ჩვენი მიზანია, შევამჩნიოთ და დავადგინოთ ქართულიდან ოსურ ენაში ნასესხებობათა ფონეტიკური გაფორმების თანმიმდევრობა და კანონზომიერება, სახელდობრ „კავკასიურ“ ყელსშულთა ანუ აბრუპტივთა და ფშვინვიერ თანხმოვანთა შემცველი ნასესხები სიტყვების მიმართ.

შევნიშნავ აქვე წინასწარ, რომ მხედველობაში მაქვს უმთავრესად ისეთი ნასესხებობანი, რომელნიც გავრცელებულია ოსურში საერთოდ და არა მხოლოდ სამხრეთ ოსეთის დიალექტებში, სიდაც განსაკუთრებით ბევრია უახლესი ნასესხები სიტყვები².

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ოსური ენის ბგერითი სისტემა საერთოდ ძალიან ახლოა ქართული ენის ბგერითს სისტემასთან, განსხვავება

¹ Н. Я. Марр, Ossetica—Japhetica, II, ИАН, 1927, стр. 434, რომელშიც მითითებულია ე. ი. აბაევის მოხსენებაზე „Некоторые замечания о лексическом составе осетинского языка“.

² ამის შესახებ იხ. В. Абаев, О языке южных осетин. Языки Северного Кавказа и Дагестана, сб. I, 1935, გვ. 93—95.

სტალინის სახ. უნივერსიტეტი
1952 წ.

მინც არის მათ შორის: ოსურ ენას აქვს ქართულის ყველა ბგერა და, გარდა ამისა, შემდეგი: *s ā, s ə* ხმოვნები, *ქ, ჯ, ყ* ნახევარხმოვნები, *წ, ზ* და ნახევრად-აბრუპტივები *ჲ, ო, ზ* და სხვ.¹

ოსურ ბგერათა გადმოსაცემად გამოყენებულია ქართული ასოები და, მათ ვერძლით, თბილისის ენიმჭი-ის მიერ ხმარებული ტრანსკრიფცია. ოსური ენის ნახევრად-აბრუპტივთა გადმოსახატავად ვიყენებთ ვ. აბაევის მიერ (იხ. მისი *Общие элементы в языке осетин, балкарцев и карачаевцев*, 1933, გვ. 71—89) უკვე ხმარებულ ბერძნულ ასოებს დიაკრიტიკული ნიშნებით.

უნდა ვიფიქროთ, რომ ოსური ენა თავის უფრო ძველ საფეხურზე მეტად განსხვავდებოდა ბგერითი შედგენილობის მხრივ ქართულისაგან—უმთავრესად იმით, რომ ოსურს, როგორც ირანულ ენას, არ უნდა ჰქონოდა იმათივე აბრუპტივები და სრულფეხიანი თანხმოვანები². ესენი შეითვისა ოსურმა კავკასიური ენების ხანგრძლივი გავრცელების პირობებში—დიდი რაოდენობით ლექსიკური სესხების საფუძველზე; ამის გამო დროთა განმავლობაში აბრუპტივები ისე ძლიერად დინერგა ოსური ენის ბგერითს სისტემაში, რომ შესაძლებელი შეიქნა მათი წარმოთქმა ირანული ფენის ოსურ სიტყვებშიც. თანდათანობით ადაპტაციის ეს პროცესი მელანდებდა, ჩვენი აზრით, ოსურ ენაში აბრუპტივთა და ასპირატთა დისიმილაციურ გამქლევებაში.

¹ როდესაც ამ ორი ბგერითი სისტემის შედარებაზე ვლაპარაკობ. შედგენილობა გვაქვს, რა თქმა უნდა, მათი ფონემატიკური შედგენილობა, და არა მრავალგვარი ნუნანის ბგერათაჯომპლექტებში და დიალექტობრივ არსებული ბგერები, როგორიცაა, მაგ., ფარინგალური ასპირატი (ჟჟ) ძველი ქართულისა და ცალკეული დიალექტების. სხვათა შორის, ასეთივე ბგერა შეჟამჩინი ოსური ენის დიფორული დიალექტის ცალკეულ სიტყვებში (ლავან ლავან, ხაყოთი ხაყოთი)

² ვ. აბაევის მოსაზრება, რომ „ოსური ენის ირანული ფენისათვის იმათივე უცხო იყო ფეხიანი ხმულები“ („Четыре ряда смычных согласных в осетинском“, 1926, стр. 6—7), მიმართა სრულიად მართებულად, მაგრამ არ ეეთანხმები მას, თითქოს ოსური ენის „მუთახე რიგის“ ხმულები სრულიად არა ფეხიანი იყოს (გვ. 6). ჩემი დაკვირვებით, ფეხიანა მათ აქვთ, მაგრამ მინიმალური; მათ მე ამოერიდან ნახევრად-აბრუპტივებს (ანუ ნახევრად-მკვეთრებს) ვეძახი. თვით ამ ტერმინისათვის საჭიროა შევინიშნო შემდეგი: ვ. წ. „კავკასიური“ ხმულებისათვის, როგორცაა, მაგ. ქართ. პ ტ კ—ქ, ჯ ყ—ჯ ლ ე ვმარბ-დიო ტერმინს „მკვეთრები“, რუსულად იხმარებოდა „смычно-гортанные“—ყვლები, ხლო ფრანგულად (Rousselot, *Principes de phonétique expérimentale*, II, 866)—*avulsives*. ეს უკანასკნელი არ გავრცელდა; რუსული ტერმინი არ გამოხატავს სინამდვილეს, რამდენადაც „მკვეთრები“ შეიძლება წარმოითქვას სახმო სიმების ლაიობისასაც (იხ. „მიომომილველი“, I, 1926, გვ. 325—29). რაც შეეხება ტერმინს „მკვეთრი“, რომელსაც ვეკლავა გამოხატოს აქუსტიკური შთაბეჭდილება ხსენებულ თანხმოვანთაგან, უხერხულია იმით, რომ განმელებულია მისი თარგმნა სხვა ენებში. ამიტომ მის ნაცვლად ვმარბოთ ტერმინს „აბრუპტივი“ (ლათ. *abruptus*—მოწყვეტილის, უფროდ მოწყვეტილის მნიშვნელობით), რომლითაც კარგადაა გამოხატული მკვეთრის წარმოთქმით სმენითი ნიშნულობების ერთობლიობა, სახელდობრ: ხმე-ში მონაწილე ორგანოთა ერთმანეთისაგან სწრაფად და მოწყვეტილად დაშორება, რაც აღიქმება ტყაცანის სახით. რაც შეეხება „მუთახე რიგის“ ხმულებს, მათ ახასიათებს მინიმალური ფეხიანობა, ისინი უახლოედებოდა აბრუპტივებს. ამიტომ შესაძლებლად დავინახე მათთვის „ნახევრად-აბრუპტივები“ მეწოდებინა.

7. მომყავს ანბანურ რიგზე ქართულიდან ოსურში შესული რამდენიმე სიტყვა, რომლებიც ამჟღავნებენ ამ კანონზომიერებას:

- 1) ირონ. ბარკი barçi, დიგ. ბარკი barçl—ქართ. პარკი.
- 2) ირონ. ბარგსკი მარხვა, გლოვა barasçi, დიგ. ბარსკს baräska—ქართ. პარასკევი.
- 3) ბეტრე beṭre—ქართ. პეტრე.
- 4) ირონ. ბიტნა biṭna, დიგ. ბეტენა beṭina—ქართ. პიტნა.
- 5) ბუტრო buṭro—ქართ. ფუტურო.
- 6) გარაქი garaçl—ქართ. კარაქი.
- 7) გასრთამ gärtam—ქართ. ქრთამი.
- 8) დიგ. გეთენ geten, ირონ. ჩეთსნ četän—ქართ. ქათანი.
- 9) გოტოსი gotosi—ქართ. კოტოში.
- 10) გოცორა gocora—ქართ. ქობორა.
- 11) გოწობი goçobi—ქართ. კოქობი.
- 12) გუწა ჩინჩხვი guça—ქართ. კუჭი („ფრინველის ფაშვი“—საბა).
- 13) გვჯრკო gvərko—ქართ. (კ)რკო.
- 14) დიქი diçi—ქართ. ტიკრი.
- 15) საბანტი sabanṭi—ქართ. საფანტი.
- 16) ირონ. თაბა taba, დიგ. თაბაი tabai—ქართ. ტაფა.
- 17) ირონ. ძგლაკვ ჯალაკვა, დიგ. ძილიკუ ziliku—ქართ. ქლაკვი.
- 18) ჯირკა çirka—ქართ. (რუსულიდან) კირკა.
- 19) ჯიტრი çitri—ქართ. კიტრი.
- 20) ჯუჭი çuçi—ქართ. ქუჭი.

ამ ნიმუშების გამრავლება შესაძლებელია არა მხოლოდ ქართულიდან ნასესხები სიტყვებით, არამედ სხვა კავკასიური ენებიდანაც.

წარმოდგენილ მასალაში ნათლად ჩანს შემდეგი ფონეტიკური კანონზომიერების მოქმედება: ნასესხებ სიტყვებში ოსური ენა თავისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე ვერ იტანს ერთ სიტყვაში ორ აბრუპტივს, resp. ორ ასპირატს (აგრეთვე აბრუპტივსა და ასპირატს) და ამიტომ ერთ-ერთ მათგანს ამჟღავნებს ხოლმე. ამ კანონზომიერებას ვუწოდებთ დისიმილაციურ გამჟღავნებას. საყურადღებოა, რომ ჩვეულებრივ მკლერდება ხოლმე პირველი აბრუპტივი, resp. ასპირატი სიტყვის თავიდან; მაშასადამე, დისიმილაცია რეგრესულია.

3. ბგერათა ასეთს შენაცვლებას საფუძვლად უდევს ტენდენცია—გაიადვილოს მსესხებელმა მისთვის უცხო ბგერის წარმოთქმა დისიმილაციური შენაცვლებით. უნდა ვიფიქროთ, რომ კავკასიურ ენებთან პირვანდელი ურთიერთობის პერიოდში ოსური ენა, ითვისებდა რა კავკასიური ენებიდან ისეთ სიტყვებს, რომლებშიც იყო ოსურისათვის უცხო აბრუპტივები და სრულ-ფშენიერი ხშულები, უნაცვლებდა მათ თავისს—წარმოებით უახლოესს—ხშულებს, მაგრამ, როგორც ჩანს, არა განსაზღვრული თანაშიმდევრობით. შემდგომში კი, ორენოვნობის გაძლიერებისას, ოსურში შედის კავ-

კასიური ენებიდან სიტყვები მასობრივად, და ოსური ენა ეგუება და ითვისებს კავკასიურ ბგერათა სწორ წარმოთქმას, კერძოდ—აბრუპტივებისა და ასპირატებისას. ამიტომია, რომ ქართულიდან ოსურში უკანასკნელ ხანებში შესული ასეთ ხშულებიანი სიტყვები წარმოითქვიან უკვე ადეკვატურად, ე. ი. უღისიმილაციოდ; მაგ., სამხრეთ ოსეთში ოსურად უკვე ამბობენ პიტნა *pitna*, ტაფა *tafa*, პეტრე *petre* (ძველი ნასესხები: პიტნა *pitna*, თაბა *taba*, პეტრე *petre*), კუპრი *kupri*, თეფში *tepsi*, ჭეტი *cefi* (ქართ. კეტი) და სხვა [ძველი ნასესხები უნდა ყოფილიყო:—*გუპრი *gupri*, *ღეფში (ან *თებში), *ჯეტი *jetfi*].

სამართლიანი იქნება აქედან დავასკვნათ, რომ ზემოთ წარმოდგენილი ოცი სიტყვა შეუთვისებია ოსურს ამ სახით ჯერ კიდევ იმ დროს, როცა კავკასიური (კერძოდ ქართლის) ფონეტიკური სისტემის დამკვიდრება ოსურ ენაში მხოლოდ იწყებოდა, ან, ყოველ შემთხვევაში, დამთავრებული არ იყო.

ოსური ბგერითი სისტემის ადაპტაციის პროცესს კავკასიურისასთან ჩვენ ვყოფთ სამ პერიოდად:

პირველი პერიოდია ინდიფერენტულ-უთანამიმდევრო წარმოთქმის პერიოდი კავკასიურ აბრუპტივთა და ასპირატთა ოსურ ენაში; შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდში ერთაბრუპტივიანი ან ერთასპირატიანი სიტყვები წარმოითქმოდნენ ოსურში მკლერი ხშულით ან ნახევრად-აბრუპტივით, უფრო ხშირად კი—ამ უკანასკნელით, მაგ., ქართ. ტარო და თარო (ორგეა შესული ოსურში!) ოსურად წარმოითქმოდა ერთნაირად: ან *tao* (უფრო ხშირად), ან **darō* (უფრო იშვიათად). რაც შეეხება ორაბრუპტივიან, resp. ორასპირატიან სიტყვათა წარმოთქმას, შეგვიძლია ვივარაუდოთ მეთი თანამიმდევრობა ასეთ სიტყვათა წარმოთქმაში, რამდენადაც დისიმილაციური პროცესი უკვე ისახებოდა: აქ, ალბათ, შენაცვლება უპირატესად ხდებოდა მკლერი ხშულით.

მეორე პერიოდია თანამიმდევრობითი რეგრესული დისიმილაციური გამკლერების პერიოდი ოსურისათვის ჯერ კიდევ უცხო ხშულების შემცველ სიტყვაში, რის გადანაშთსაც წარმოადგენს ზემოთ მოყვანილი მასალა (1-20 ნიმუში); ამავე პერიოდში შესაძლოა არსებულებო, აგრეთვე გადანაშთის სახით, პირველი პერიოდის შემთხვევებიც.

შესაშე პერიოდია ნასესხები სიტყვების ადეკვატური წარმოთქმის პერიოდი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს აგრეთვე ძველ ნასესხებთა კორექციის პერიოდს, მაგ. დღევანდელი ოსური წარმოთქმა სამხრეთ ოსეთში: პიტნა *pitna*, ტაფა *tafa*, პეტრე *petre* და სხვა.

დისიმილაციური გამკლერების ცალკეული ნიმუშები (აბრუპტივთა, მაგრამ არა ასპირატთა) აღინიშნა (მოხსენების გამო კამათში) აგრეთვე ქართველურ ენებშიც პროფ. ა. შანიძის პროფ. ვ. თოფურიას და დოც. ს. ქლენტის მიერ, [ხევსურ. გურკო, მთიულ. ბატარა, ბატრონი (შეად. მეგრ. პატრონი), კაბუკი, შეად. ძვ.-ქართ. კაბუკი, სვან. ჯაქარ (<ქართ. კაჭები)].

გამოსარკვევია, თუ რამდენად (და როდინდელ) კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენს ეს შემთხვევები ქართველურ ენებში.

Г. АХВЛЕДИАНИ

К истории осетинского языка

III. Диссимилятивное озвончение смычных в осетинском языке

Резюме

1. Автор сопоставляет фонетическую систему осетинского языка с грузинской. Указывается большее различие между ними в прошлом и доказывается постепенная адаптация осетинского языка к звуковой системе кавказских языков, в частности—грузинского.

2. В результате анализа ряда заимствованных из грузинского слов, содержащих в грузинском по два смычно-гортанных или же по два придыхательных смычных, автор устанавливает закономерное регрессивно-диссимилятивное озвончение смычно-гортанного и придыхательного в осетинском.

3. Так как новейшие заимствования с аналогичным консонантным составом отражаются в осетинском адекватно, автор находит возможным допустить три ступени в процессе фонетической адаптации осетинского языка к звуковой системе кавказских языков: I—безразлично-последовательного произношения чуждых смычных, II—последовательно регрессивно-диссимилятивного озвончения смычных и III—адекватного отражения звуков дающего языка.

4. Вводятся термины „абруптив“ вместо „смычно-гортанный“ и „полуабруптив“ вместо „смычный 4-го ряда“.